სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის

2015 წლის 13 იანვრის N05/01-01 ბრძანების

დანართი N1

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში წლის პირველი საუნივერსიტეტო საჯარო ლექციის ჩატარების უფლების მინიჭების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (ტექსტში შემდგომ - ,,უნივერსიტეტი“) წლის პირველი საუნივერსიტეტო საჯარო ლექცია (ტექსტში შემდგომში - ,,საჯარო ლექცია“), წარმოადგენს საუნივერსიტეტო აკადემიური განათლების საწყისის სიმბოლოს და იმართება ყოველწლიურად.

მუხლი 2. საჯარო ლექციის ჩატარების ვადები

1. საჯარო ლექცია ტარდება ყოველწლიურად 12 თებერვალს, უნივერსიტეტის პირველ კორპუსში.
2. საჯარო ლექციის ჩატარების ზუსტი დრო და ადგილი უნივერსიტეტის მიერ ცხადდება საჯაროდ უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ გვერდზე არაუგვიანეს ყოველი წლის 5 თებერვლისა.

მუხლი 3. საჯარო ლექციის ჩატარების უფლების მინიჭება

1. საჯარო ლექციის ჩატარების უფლება ენიჭება უნივერსიტეტის კურსდამთვრებულ პირს - მოქმედ აკადემიურ პერსონალს, უნივერსიტეტის ემერიტუსს, ცნობილ საზოგადო და პოლიტიკურ მოღვაწეს, ხელოვნებისა და კულტურის გამოჩენილ წარმომადგენლს რექტორის მიერ.
2. საჯარო ლექციის ჩატარებისათვის შესაბამისი პირის კანდიდატურის დასახელება შეუძლია მრჩეველთა საბჭოს წევრს ყოველი წლის 1 დეკემბრიდან 20 იანვრამდე, წერილობით. წერილობითი წინადადება განიხილება მრჩეველთა საბჭოს სხდომაზე.

3. საჯარო ლექციის ჩატარებისათვის შესაბამისი პირის კანდიდატურის დასახელება შესაძლებელია ზეპირი სახითაც, მრჩეველთა საბჭოს სხდომაზე, რექტორის ან საბჭოს წევრის მიერ, რაც აისახება სხდომის ოქმში.

მუხლი 4. სიგელი საჯარო ლექციის ჩატარებისათვის

1. საჯარო ლექციის ჩატარებისათვის პირი ჯილდოვდება სიგელით ”წლის პირველი საჯარო ლექციის ჩატარებისათვის“.
2. სიგელის ფორმა მტკიცდება რექტორის ბრძანებით.
3. სიგელში, გარდა სხვა აუცილებელი ინფორმაციისა, აღინიშნება შესაბამისი პირის სახელი, გვარი, სამეცნიერო ხარისხი და სხვა სამეცნიერო ტიტული, საჯარო ლექციის ჩატარების წელი და საჯარო ლექციის სახელწოდება.
4. უნივერსიტეტი უფლებამოსილია კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით განიხილოს ჩატარებული საჯარო ლექციის ბეჭდური სახით გამოცემის საკითხი.

მუხლი 5. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა

დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.